

ფაზი VIKOR მეთოდი მრავალ-ატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ამოცანაში

ირინა ხუციშვილი

irina.khutsishvili@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186 თბილისი, საქართველო

მრავალ-ატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების (MAGDM) ამოცანის ამოხსნა გულისხმობს ერთი საუკეთესო ალტერნატივის (გადაწყვეტილების) დადგენას ყველა შესაძლო ალტერნატივას შორის, ან ალტერნატივების რანჟირებას, როდესაც ალტერნატივების შეფასება კეთდება გადაწყვეტილების მიმღებთა ჯგუფის მიერ მრავალი ატრიბუტის საფუძველზე. რთულ MAGDM ამოცანაში ხსირად საჭიროა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ტიპის ფაქტორების განხილვა, რომლებიც შესაძლოა იყვნენ კონფლიქტური და ასევე შეიცავდნენ უზუსტობასა და განუზღვრელობას. MAGDM ამოცანისთვის არსებულ პოპულარულ მეთოდებს შორის კარგად ცნობილია ფაზი VIKOR მეთოდი. მისი მიდგომა უზრუნველყოფს ალტერნატივების დალაგებას კონფლიქტური და არაშედარებადი ატრიბუტების პირობებში და ერთი ან რამდენიმე ე.წ. კომპრომისული გადაწყვეტილების შერჩევას.

წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია მრავალ-ატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია დაფუძნებული ფაზი VIKOR მეთოდის გამოყენებაზე მერყევ ფაზი გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც ატრიბუტებისა და მათი წონების შეფასებები კეთდება ლინგვისტური თერმების საშუალებით, რომლებსაც იძლევა ყველა გადაწყვეტილების მიმღები პირი. შემდეგ ეს ლინგვისტური შეფასებები გამოიხატება სამკუთხა ფაზი-რიცხვებით. მეთოდს შემოაქვს ალტერნატივის რანჟირების ინდექსი „იდეალურ“ გადაწყვეტილებასთან „სიახლოვის“ მიხედვით. ბოლოს, განისაზღვრება კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს მისი ატრიბუტების „ჯგუფური სარგებლიანობის“ მაქსიმუმსა და „ინდივიდუალური დანაკარგების“ მინიმუმს. შემოთავაზებული მეთოდოლოგიის ილუსტრირების მიზნით განიხილება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების მაგალითი.

საკვანძო სიტყვები: მრავალ-ატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება, VIKOR მეთოდი, ალტერნატივების რანჟირება, კომპრომისული გადაწყვეტილება.